ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1790325

ნომერი: AR1292876

თარიღი : 11.03.2015

გაცემის თარიღი : 18.03.2015

გაცნობის თარიღი : 18.03.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , ნაკვეთი 07/052 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიანა გამყრელიძე პ/ნ 01008021718
- საქართველო, ქალაქი თბილისი, კორნელი კეკელიძეს ქუჩა, N 25, კორპუსი 6, ბინა 130

ორგანიზაცია:

- შპს "green vision" კოდი: 404953127

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1292876 განცხადება, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.14.06.007.052) შემოღობვას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: #01.14.06.007.052) წარმოადგენს ხე–ნარგავებით აქტიურად გამწვანებულ სივრცეს, რომელზეც დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით ვრცელდება ლანდშაფტურ–სარეკრეაციო ზონა (ლსზ), რომელიც წარმოადგენს თბილისის (ადმინისტრაციულ) საზღვრებში არსებულ ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას, სადაც ყოველგვარი მშენებლობა დაუშვებელია გარდა მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობებისა. `მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მიწის ნაკვეთები სამშენებლო საქმიანობისათვის გამოყენების შესაძლებლობების მიხედვით იყოფა სამშენებლო მიწის ნაკვეთად, სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთად და სამშენებლოდ შეუსაბამო მიწის ნაკვეთად. აღნიშნული დადგენილების მე-7 მუხლის მიხედვით ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში მდებარე მიწა არის საშენებლოდ შეზღუდული სტატუსის მქონე. კანონმდებლობიდან გამომდინარე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ)-ში მდებარე მიწა წარმოადგენს სამშენებლოდ შეზღუდულ მიწის ნაკვეთს. ყოველივე აქედან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა ტერიტორიის შემოღობვასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.